

Monthly newsletter of the project 'Integrated Land-use Management Modelling of Black Sea Estuaries' (ILMM-BSE)

Common borders. Common solutions.

This project is funded by the 2nd Call for Proposals of the Joint Operational Programme "BLACK SEA BASIN 2007-2013"

ბურგასის შეხვედრის დისკუსიები - როგორ ნაწილი პროექტისა - ხმელეთის გამოყენების ინტეგრირებული მართვის მოდელი შავი ზღვის შესართავებთან

ხმელეთის გამოყენების მენეჯმენტი შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ შესართავებთან

პროფესორის და მეცნიერებათა დოქტორის ასენ ზლატაროვის სახელობის უნივერსიტეტი ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია სამხრეთ-აღმოსავლეთ ბულგარეთში. უნივერსიტეტი 1963 წლის 6 ოქტომბერს დაარსდა, როგორც უმაღლესი ქიმიო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მოგვიანებით 1995 წელს, რატიფიცირდა როგორც სამ-ფაკულტეტაანი უნივერსიტეტი- ტექნიკური მეცნიერებების ფაკულტეტი, ბუნებრივი მეცნიერებების ფაკულტეტი და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი, უნივერსიტეტს დამატა სამი კოლეჯი: ტექნიკური, სამედიცინო და ტურიზმის კოლეჯები. სწავლება ხორციელდება 29 აკრედიტირებულ საბაკალვრო და 60 სამაგისტრო პროგრამის საფუძველზე. უნივერსიტეტი მოიცავს, რამდენიმე სპეციალურ ერთეულს, როგორცაა: მეცნიერების და კვლევის ცენტრი, ასევე მეცნიერებისა და კვლევის ცენტრალური ლაბორატორია. კოლეჯები და ფაკულტეტები განთავსებულია უნივერსიტეტის კუთვნილ 4 შენობაში.

წყლის ხარისხის კონტროლის ტექნოლოგიების დეპარტამენტი ტექნიკური მეცნიერების ფაკულტეტს ეკუთვნის, აღნიშნული დეპარტამენტის სამეცნიერო და სასწავლო აქტივობები ფოკუსირებულია საყოფაცხოვრებო და სამრეწველო გზით დაბინძურებული წყლის კონტროლზე. გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგებზე, „მემბრანის (გარსის) მეთოდზე“, წყლის ხარისხის გაუმჯობესება და სუფთა წლის მიღება სამრეწველო მოხმარებისთვის ასევე წლის ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრების მონიტორინგი (რაც მოიცავს BOD, COD, მიკრობიოლოგიას, მიკრო და მაკრო ელემენტების ანალიზს და ასე შემდეგ)

დეპარტამენტის სამეცნიერო კოლეგია აღიარებული მეთოდების გამოყენებით მონაწილეობს ინტენსიურ კვლევაში დაბინძურებული წყლის გაწმენდისთვის ალტერნატიული და მდგრადი მეთოდების შემუშავებისთვის. საქმიანობა ძირითადად ხორციელდება მიკრობული საწვავის უჯრედების გამოყენებით. კვლევის ძირითადი მიზნებია: ამ ტექნოლოგიის ბიოლოგიური ასპექტების გამოკვლევა, (ელექტროგენური



Project funded by the
EUROPEAN UNION



მიკროორგანიზმების იზოლაცია და დახასიათება) ახალი უჯრედების აგებულების ფორმირება, მიკრობული საწვავის უჯრედების ალტერნატიული გამოყენება წყლის გაწმენდისა და წყლის ხარისხის მონიტორინგის პროცესში.

დეპარტამენტის გამოცდილება კვლევაში მოიცავს რამდენიმე საერთაშორისო პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში. პროექტები დაფინანსებულია ბულგარეთი-შვედეთის მეცნიერების ფონდის მიერ, ასევე ეროვნული ფონდების მიერ. ამჟამად ჯგუფი მონაწილეობს ბულგარეთისა და შვედეთის კვლევის პროგრამის მიერ დაფინანსებულ ხუთ საერთაშორისო პროექტში. შავი ზღვის აუზის ერთობლივ ოპერაციულ პროგრამაში და ბულგარეთისა და თურქეთის IPA სასაზღვრო პროგრამაში.

მეცნიერული პრაქტიკა, პროექტების გამოცდილება, თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობებთან და ინსტიტუტებთან გარემოს დაცვის კუთხით. ეს ყველაფერი პროექტის- „ხმელეთის გამოყენების ინტეგრირებული მართვის მოდელი შავი ზღვის შესართავებთან-“ აქტივობების წარმატებული განხორციელების წინაპირობა.

პროექტის ფარგლებში სწავლების ძირითად მიზანს ბულგარეთის მხრიდან წარმოადგენს მდინარეების: ველეკა და როპოტამოს შესართავებთან მდებარე წყალსატევები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტერიტორიები დაცულია, ადამიანის მიერ ასეთი ადგილების დაზიანებების ფაქტები საგრძნობლად არის გაზრდილი. ასეთ საკითხებზე არსებული მონაცემები საკმაოდ ბუნდოვანია, რაც ერთერთი მთავრი წინაღობაა წყალსატევების დაცვის კუთხით მუშაობის პროცესში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბულგარელთა ჯგუფი და ბურგასის უნივერსიტეტი პარტნიორობით პროექტის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებენ მონიტორინგის სტრატეგიის განვითარებაზე და წყალსატევების მენეჯმენტის მოდელის შემუშავებაზე. ამ კუთხით მთავარი აქცენტები გაკეთდება ტექნიკურ დახმარებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებაზე. ასევე წახალისდება ადგილობრივი თემების აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა მოლაპარაკებებში და მოხდება წყალსატევების გონივრული გამოყენება. იგეგმება წყალსატევების მართვაში კერძო სექტორის ჩართვაც, რაც წყალსატევების მენეჯმენტის კომისიაში მათი მონაწილეობის საშუალებით მოხდება. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება შავი ზღვის რეგიონში ბურგასის უნივერსიტეტის ხელშეწყობით ბიოლოგიური რესურსების გამოყენების საერთაშორისო და ეროვნული ქვოტის შემუშავება.

დეკემბერი 2013 გამომცემელი: BRTA

აღნიშნული დოკუმენტი არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას და მის შინაარსზე მთლიანად აგებს პასუხს BRTA

